



კურსის მიმოხილვა ე-11 კლასი

წყარო: Reimers, F. (2017). "მოსწავლეების გაძლიერება და მოტივირება სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად 60 გაკვეთილში". 1-ლი გამოცემა. საგამომცემლო პლატფორმა *Createspace Independent*.

საავტორო უფლება: © 2017 Fernando M. Reimers. ნაშრომის ლიცენზია - Creative Commons Attribution 4.0 International License. ლიცენზიის ასლის ნახვა შესაძლებელია ბმულზე <https://creativecommons.org/licenses/by/4.0/> ყველა უფლება დაცულია.

შენიშვნა: ყველა კომპონენტი გამოქვეყნდა გლობალური სკოლების პროგრამისგან დამოუკიდებლად.



| | |
|--|-------------------------------------|
| მიმოხილვა | |
| სწავლის მიზანი | |
| <p>ე-11 კლასში მოსწავლეები ყურადღებას გაამახვილებენ გენდერის სხვადასხვა ასპექტზე: სტერეოტიპებზე, იმ როლზე, რომელსაც გენდერი ყოველდღიურ ცხოვრებაში თამაშობს, და მის გავლენაზე გლობალურ დინამიკაზე. შემდეგ, მოსწავლეები გაეცნობიან პოზიტიური გადახრის (positive deviance) კონცეფციას და ისწავლიან, თუ როგორ შეუწყონ ხელი ცვლილებებს თავიანთ ცხოვრებაში პოზიტიური გადახრის ამოცნობითა და მხარდაჭერით.</p> | |
| გაკვეთილის შაბლონი | |
| აკვეთილი 1 | გენდერი და სტერეოტიპები |
| აკვეთილი 2 | გენდერი ყოველდღიურ ცხოვრებაში |
| აკვეთილი 3 | გლობალური საუბრები გენდერის შესახებ |
| აკვეთილი 4 | პოზიტიური გადახრის ამოცნობა |
| აკვეთილი 5 | პროექტის პრეზენტაცია და უკუკავშირი |
| სწავლის მიზნები | |
| <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეები გაეცნობიან სტერეოტიპებს და გამოიკვლევენ, რამდენად საზიანო შეიძლება იყოს ისინი ადამიანებისთვის. • მოსწავლეები ჩაერთვებიან გლობალური მასშტაბის გენდერის შესახებ საუბრებში. • მოსწავლეები გაეცნობიან პოზიტიური გადახრის კონცეფციას და ისწავლიან მის ამოცნობას თავიანთ ცხოვრებაში. | |



კლასი 11, გაკვეთილი 1

“შესავალი თემაზე სქესი და გენდერი: იდენტობა, სტერეოტიპები და ლგბტქ+ თემი”

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი

თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები

სტანდარტები: გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5)

შეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება: ეს გაკვეთილი შემუშავებულია იმ მიზნით, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს განსხვავების გაცნობიერება სქესსა და გენდერს, ასევე გენდერულ იდენტობასა და გენდერთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს შორის. მოსწავლეები შეისწავლიან იუნესკოს გენდერის ლექსიკონს (gender glossary) და გამოიკვლევენ, თავად როგორ შემთხვევით ან შეუმჩნევიათ გენდერული როლები თავიანთ გამოცდილებაში. შემდეგ ისინი წარმოიდგენენ, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს გენდერული თანასწორობა მათს კონტექსტში.

სასწავლო მიზნები:

- მაღალი დონის აზროვნების უნარების ხელშეწყობა.
- იმის გამოკვლევა, თუ როგორ ვლინდება ეს კონცეფციები ყოველდღიურ ცხოვრებაში და კონვენციური განმარტებების გაფართოება მათი გამდიდრებისა და კონტექსტუალიზაციის მიზნით.

გაცნობიერების მიზნები: თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილების ობიექტივიდან, მოსწავლეები გააცნობიერებენ განსხვავებას სქესსა და გენდერს, ასევე გენდერულ თანასწორობასა (gender equality) და გენდერულ სამართლიანობას (gender equity) შორის.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა განსხვავებაა სქესსა და გენდერს შორის?
- როგორ შეიძლება განისაზღვროს მამაკაცურობა (masculinity) და ქალურობა (femininity)?
- ა საზღვრები/შეზღუდვები მოსდევს ამ განმარტებებს?
- ა განსხვავებაა სამართლიანობასა (equity) და თანასწორობას (equality) შორის?
- რა არის წინსვლის გზა?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):

- მოსწავლეები გააცნობიერებენ განსხვავებას სქესსა და გენდერს, ასევე გენდერულ თანასწორობასა (gender equality) და გენდერულ სამართლიანობას (gender equity) შორის და შეიძენენ შესაბამის ლექსიკურ მარაგს.



- მოსწავლეები დაამყარებენ კავშირს ამ კონცეფციებსა და თავიანთ გამოცდილებებს შორის.

შეფასება: მოსწავლეები შეძლებენ კლასში აქტიურობას და პატარა ჯგუფში აღნიშნული თემების გარშემო დისკუსიაში ჩართვას.

აქტივობების თანმიმდევრობა:

- გაკვეთილამდე დავალების სახით მოსწავლეები კითხულობენ შესაფერის განმარტებებს იუნესკოს გენდერის ძირითადი კურსის იმპლემენტაციის ჩარჩოდან (UNESCO's Gender Mainstreaming Implementation Framework).
- გაკვეთილი იწყება Chimamanda Ngozi Adichie-ის TED საუბრით “ჩვენ ყველანი ფემინისტები უნდა ვიყოთ” (“We Should all be Feminists”).
- განიხილეთ ვიდეო და მსჯელობაში გამოიყენეთ იუნესკოს განმარტებები.
- შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეებს იფიქრონ და დაწერონ, თუ როგორ ხედავენ გენდერს და გენდერულ როლებს თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და რას შეიძლება ნიშნავდეს გენდერული თანასწორობა მათს კონტექსტში.
- მოსწავლეები განიხილავენ თავიანთ აზრებს პატარა ჯგუფებში, დახატავენ თანამედროვე და/ან ისტორიულ გენდერულ როლებს და შემოგვთავაზებენ გზას გენდერული თანასწორობისკენ.
- მასწავლებელი წამოიწყებს ფართო დისკუსიას ამ საკითხებზე მთელ კლასთან ერთად.

რესურსები მასწავლებლებისთვის:

- იუნესკოს გენდერის ძირითადი კურსის იმპლემენტაციის ჩარჩო: <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000131854>
- (ვიდეო) “ჩვენ ყველანი ფემინისტები უნდა ვიყოთ” Chimamanda Ngozi Adichie-ის TED საუბარი: <http://tiny.cc/G11L1R2>
- ჩემი გადმოსახედი: გენდერული თანასწორობის პროექტი: <http://tiny.cc/G11L1R3>
- იუნესკოს გენდერული თანასწორობის ინსტრუმენტები: <https://en.unesco.org/themes/education-and-gender-equality/resources>



კლასი 11, გაკვეთილი 2

“თემზე დაყრდნობილი კვლევა: გენდერული დინამიკა ჩემს თემში”

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი

თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები

სტანდარტები: გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5)

შეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება: ნაახალისეთ მოსწავლეები გააცნობიერონ თავიანთი პიროვნული დამოკიდებულება გენდერული დინამიკის მიმართ და გენდერული დინამიკის როლი მათს თემში.

სასწავლო მიზნები: მოამარაგეთ სტუდენტები გენდერულ დინამიკასთან დაკავშირებული კვლევის ჩატარებისთვის საჭირო ინსტრუმენტებით.

გაცნობიერების მიზნები: გააცნობიერება იმისა, თუ როგორ ვლინდება გენდერული საკითხები ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- არის თუ არა შენს თემში სამუშაო ადგილები დაყოფილი გენდერის მიხედვით?
- შეუძლიათ ქალებს ან არა-ბინარულ ხალხს იმავე აქტივობებში მონაწილეობა, რაშიც კაცებს?
- არის შენს ოჯახში როლები დაყოფილი გენდერის მიხედვით?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ): კვლევის ჩატარებას იმ მიზნით, რომ გააცნობიერონ თავიანთი თემის გენდერული შემადგენლობა.

შეფასება: თემის გენდერული პროფილის (თემში არსებული სამუშაოების ჩამონათვალი და თითოეულ მათგანში მომუშავე ქალებისა და კაცების რაოდენობა) შექმნა და ჩაბარება.

აქტივობების მიმდევრობა:

- **გაკვეთილამდე (15 წუთი):**
 - He For She კამპანიის ფარგლებში ემა უოტსონის გამოსვლის ყურება. მოსწავლეებმა წყვილებში უნდა განიხილონ, თუ რა არის, მათი აზრით, ამ ვიდეოში ქმედებისკენ მონოღება და რატომ არის ის მნიშვნელოვანი.
 - მასწავლებელი გაუძღვება მოსწავლეების უკუკავშირების განხილვას და გააცნობს მათ ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მნიშვნელობას.



- **კვლევითი აქტივობისთვის მზადება (20 წუთი):** მთელი კლასის ჩართულობით კვლევის ჩატარების განხილვა. მოსწავლეები ჩამონერენ თემის წევრებისთვის დასასმელ კითხვებს. მაგალითად:
 - ბიზნესის მფლობელი ქალი უფრო მეტია თუ კაცი?
 - არის თემაში ვინმე, ვინც იწვევს გენდერულ სტერეოტიპებს? როგორ? დაელაპარაკეთ მათ ამ გამოცდილების შესახებ.
 - ჰკითხეთ თავიანთი პროფესიით მომუშავე ხალხს, როგორ მიიღეს სამუშაო.
 - თავად აირჩიეს?
 - იმის გამო აირჩიეს, რომ დედა/მამა იმავე სფეროში მოღვაწეობდა?
 - მათს ოჯახში რისი შესწავლა სურთ?
 - დაელაპარაკეთ თქვენს მშობლებს ოჯახში მათი როლების შესახებ.
- **მცირე ჯგუფური სამუშაო (15 წუთი):** მოსწავლეები პატარა ჯგუფებში ქმნიან თავიანთ თემის გენდერულ პროფილს, კითხვების სიას და კვლევის გეგმას.
- **დასკვნა (10 წუთი):** მოსწავლეები უზიარებენ სხვებს ჯგუფში ნამუშევარს.

რესურსები მოსწავლეებისთვის:

- ემა უოტსონის გამოსვლა HeForShe კამპანიის ფარგლებში (ვიდეო) <http://tiny.cc/G11L2R1>
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩო გენდერული ანალიზისა და დაგეგმვისთვის: <http://tiny.cc/G11L2R2>



კლასი 11, გაკვეთილი 3 “გლობალური საუბრები გენდერის შესახებ”

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი

თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები

სტანდარტები: გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5)

შეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეების ჩართვა გენდერის სტატუსის შესახებ მსოფლიო დიალოგში და მათი თვალსაწიერის გაფართოება ადგილობრივი თემის ფარგლებს გარეთ.

სასწავლო მიზნები: მოსწავლეებისთვის გენდერული საკითხების გარშემო ლექსიკონის გამდიდრებისა და გლობალურ კონტექსტში მსჯელობის შესაძლებლობის მიცემა.

გაცნობიერების მიზანი: ქალისა და გენდერული უმცირესობების სტატუსი მსოფლიოს გარშემო.

მნიშვნელოვანი კითხვა: როგორია ქალების მდგომარეობა მსოფლიოს გარშემო?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):

- გაეცნობიან ქალების მდგომარეობას მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას
- გაანალიზებენ გენდერულ უსამართლობას (gender inequity) სხვადასხვა კონტექსტში.

შეფასება: კლასში აქტიურობა, ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობა

აქტივობათა თანმიმდევრობა:

- თითოეულ მოსწავლეს მიენიჭება მსოფლიოს ერთი რეგიონი:
 - სკანდინავია
 - ევროპა
 - ჩრდილოეთ ამერიკა
 - ლათინო ამერიკა
 - ჩრდილოეთ აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი
 - სამხრეთ აზია
 - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია
 - აღმოსავლეთ აზია
 - სუბსაჰარული აფრიკა
 - და სხვ.
- მოსწავლეებს შეეძლება ენიჭებოდნენ იდენტობა:



- ქალი
- კაცი
- ლესბოსელი/გეი/ბისექსუალი/ქვიარი
- ტრანსგენდერი
- და სხვ.
- მოსწავლეები ჩაატარებენ კვლევას განათლების, კარიერულ და სოციალურ თავისუფლებებზე, რომლებიც მათ ჯგუფს აქვს 3 რეგიონში.
- მოსწავლეები შემდეგ შეაჯამებენ მოხსენებას და წარუდგენენ კლასს.
- მოსწავლეები საუბრობენ თავიანთ მოსაზრებებზე.
 - რა იყო მათთვის მოულოდნელი?
 - როგორ შეცვალა ამან მათი ხედვა გენდერულ უსამართლობასთან დაკავშირებით?

რესურსები მასწავლებლებისთვის:

- გენდერული სამართლიანობის სიმულაციის ვორკშოპი: <https://wages.la.psu.edu/the-activity>
- წიგნის განხილვა (Worlds Apart): <http://tiny.cc/G11L3R2>



კლასი 11, გაკვეთილი 4

“პოზიტიური გადახრები გენდერულ სამართლიანობაზე, სტერეოტიპებსა და ლგბტქ+ თემის უფლებებზე”

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი

თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები

სტანდარტები: გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5)

შეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეებს დაევალებათ გენდერული როლების, გენდერული სტერეოტიპების ან ლგბტქ+ თემის უფლებების უფრო ღრმად შესწავლა. ამ პროცესის განმავლობაში მოსწავლეების გამოწვევა იქნება მათი კვლევითი, წერიითი და რედაქტირების უნარების განვითარება/გაუმჯობესება.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეების უზრუნველყოფა გენდერული დინამიკისა და გენდერული როლების შესახებ თემზე დაყრდნობილი კვლევის ჩატარებისთვის საჭირო ინსტრუმენტებით.

გაცნობიერების მიზანი: სხვადასხვა საშუალების გაცნობა, რითიც ხალხი მსოფლიოს გარშემო ცდილობს გენდერული სამართლიანობის შექმნას სხვადასხვა კონტექსტში.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- როგორ ვლინდება გენდერული როლების და სტერეოტიპები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა და გენდერული სამართლიანობა (equity)?
- როგორ შეუძლიათ ცალკეულ ინდივიდებს ამ საკითხის მოგვარება?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ): კვლევა და წერილობითი მოხსენება გენდერული სამართლიანობის თემაზე.

შეფასება: მოსწავლის საბოლოო წერიითი ნაშრომი.

აქტივობათა თანმიმდევრობა:

- უკუკავშირი მოსწავლეებისგან, რომელი გენდერული პრობლემები აღმოჩნდა მათთვის ყველაზე მოულოდნელი პირველი სამი გაკვეთილის განმავლობაში.
- აქედან გამომდინარე, მოსწავლეები დადგებიან გამოწვევის წინაშე, რომ:
 - ჩაატარონ უფრო ფართო კვლევა აღნიშნულ პრობლემასა და მის წყაროზე.
 - გამოიკვლიონ ხალხი ან პროექტები, რომლებიც უკვე მოქმედებენ ამ პრობლემის მოსაგვარებლად.



- ამ კვლევის შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ:
- დაწერონ ნაშრომი იმ ხალხსა თუ პროექტებზე, რომლებიც აღმოაჩინეს და ბლოგის სახით ატვირთონ ის.
 - ეს შანსი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც კლასის საერთო ბლოგის ან მხოლოდ გენდერული სამართლიანობის თემაზე ბლოგის შესაქმნელად.
- შეიმუშაონ პრობლემის მოსაგვარებელი პროექტის შეთავაზება.
- პროექტის დასასრულს მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ თავიანთ კვლევაზე და შეასრულონ უკუკავშირის აქტივობა. მეტი ინფორმაცია რესურსებთან დაკავშირებით მოცემულია სექციაში "რესურსები მასწავლებლებისთვის".

რესურსები მასწავლებლებისთვის:

- ხილული აზროვნების ჩარჩო (პროექტი ნული):
<http://www.pz.harvard.edu/projects/visible-thinking>



კლასი 11, გაკვეთილი 5

“კულმინაციური პროექტი: გენდერის მიმართ ბრმა საზოგადოების ხელშეწყობა”

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი თითო გაკვეთილი

თემები: სამოქალაქო განათლება, ისტორია, სოციალური სწავლებები

სტანდარტები: გენდერული თანასწორობა და ქალებისა და გოგონების გაძლიერება (მიზანი 5)

შეიმუშავა: Isabelle Byusa, Arianna Pattek, Emily Pope, Sam (Shiv) Sharma, Tisha Verma, Devon Wilson

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეების ჩართულობა, რომ თამამად წარმოისახონ გენდერის მიმართ ბრმა სამყარო (სამყარო, რომელშიც გენდერი არ წყვეტს იმას, თუ ცხოვრებაში რისი გაკეთება ან მიღწევა შეგიძლია).

სასწავლო მიზანი: მოსწავლეების უზრუნველყოფა გენდერული საკითხების დამოუკიდებლად კვლევისა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმისთვის საჭირო ინსტრუმენტებით.

გაცნობიერების მიზანი: ჩვენ ყველა უნდა მივისწრაფოდეთ გენდერისადმი ბრმა სამყაროს შექმნისკენ.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა გვაკავებს გენდერისადმი ბრმა საზოგადოების შექმნისგან?
- რატომ ვაძლევთ უფლებას ჩვენს გენდერს განსაზღვროს რას შეგვიძლია ან არ შეგვიძლია მივალწიოთ ცხოვრებაში?

სწავლების მიზნები (მოსწავლეები შეძლებენ):

- კვლევის ჩატარებას იმისათვის, რომ გაცნობიერონ მათი თემის გენდერული პროფილი.
- კომპეტენციის განვითარებას კვლევაზე დაყრდნობით ქმედითი ნაბიჯების გადადგმისთვის.

შეფასება: ჩაბარებული საბოლოო კვლევის პროექტი.

აქტივობათა თანმიმდევრობა:

- **ნაწილი 1 (10 წუთი):** გააგრძელეთ დისკუსია მე-4 გაკვეთილიდან მოსწავლეების შედეგებისა და გენდერისადმი ბრმა საზოგადოების შესახებ.
- **ნაწილი 2 (გაკვეთილისთვის დარჩენილი დრო):** მე-4 გაკვეთილის კვლევაზე დაყრდნობით მოსწავლეები მიიღებენ გამოწვევას, რომ შეიმუშაონ ქმედითი ნაბიჯების გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს უფრო მეტად სამართლიანი და მიუკერძოებელი საზოგადოების არსებობას.



Global Schools Program

- **ნაწილი 3 (კლასგარეშე აქტივობა; არჩევითი):** მოსწავლეებს შეუძლიათ პერსონალური ინტერვიუების ჩაწერა იმისათვის, რომ შეიტყონ გენდერულ სამართლიანობასთან დაკავშირებული განსხვავებული თვალთახედვები და შეთავაზებული ქმედითი ნაბიჯები.
- **ნაწილი 4 (პროექტის დასრულების შემდეგ):** მოსწავლეები განჭვრეტენ თავიანთი პროგრამების მოკლე-და გრძელვადიან შედეგებს და იმას, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს გენდერული სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის მქონე მსოფლიო.